# გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

# საგარეჯოს ამბები

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №17(31) 2012 წ. 1-15 სექტემბერი ფასი 50 თეთრი

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ ყველა საქართველოს მოსწავლეს, ვასურვებ წარმატებას, იყავით გულითადი, ფრთიან-მოყვარენი, მიზანსწრაფულ-ნი და დამეგობრებულნი, ასკილოვნებდეთ მიღებით ჭეშმარიტ ცოდნას, რომელსაც მოსწავლეთ სკოლიდან, ოჯახიდან და ეროვნულ. თქვენგან ერთად სწავლის დაწყებას ვულოცავ თქვენ აღმზრდელ-მასწავლებლებს და გეფიცებით, იზრუნეთ თქვენი სიფრთხილე და წარმატებისთვის!

ქალბატონ ოლიმპიადა ოსიბოვა

პრეზიდენტი პედაგოგი

## გილოცავთ!

ყველა მოსწავლეს, პედაგოგსა და მშობელს ვულოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

მოგეხსენებათ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უამრავი საინტერესო პროექტი განხორციელდა და ხორციელდება მოსწავლეების ხარისხიანი განათლების მიღების ხელშეწყობისათვის, ობიექტური გამოსაშვები თუ ეროვნული გამოცდები უმაღლებს მოტივაციას და ზრდის მათ აკადემიურ მოსწრებას.

რეგულარულად უმჯობესდება ინფრასტრუქტურა საჯარო სკოლებში. წელს ჩვენი რაიონის სოფელ შიბლიანში მოსწავლეები სწავლას ახალი სკოლის შენობაში განაახლებენ. ეს სკოლა თავისი სტანდარტებით საუკეთესოა არა მარტო საქართველოში. რეაბილიტირებულ სკოლებში განახლდება სწავლა მანავის, გომბორის, №2 და №4 საჯარო სკოლებში. №4 სკოლაში კეთილმოეწყო „მომავლის კლასიც“.

საგარეჯოს ყველა საჯარო სკოლა აღიჭურვა ახალი თანამედროვე კომპიუტერით. წელს ჩვენი რაიონის მოსწავლეებს სახელმწიფოსაგან უფასოდ გადაეცათ სახელმძღვანელოები. უკვე მეორე წელია პირველკლასელებს საჩუქრად ურიგდებათ კომპიუტერები, სკოლებს საჩუქრად გადაეცათ აგრეთვე სკოლის ინვენტარი.

ყოველწლიურად ხდება წარჩინებული მოსწავლეების ოქროსა თუ ვერცხლის მედლებითა და პერსონალური კომპიუტერებით დაჯილდოება, ოლიმპიადებსა თუ სხვადასხვა კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები უფასოდ ისვენებდნენ საზაფხულო ბანაკებში.

წელს ჩვენი მთავრობის ინიციატივით და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის აქტიური ხელშეწყობით რაიონის სტუდენტები მიიღებენ უფასო ვაუჩერს სწავლის დაფინანსებისათვის.

არც პედაგოგებს აკლიათ ზრუნვა სახელმწიფოსა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტისაგან, მრავალი პედაგოგის ოჯახმა მიიღო მატერიალური დახმარება, მნიშვნელოვნად გაიზარდა პედაგოგთა ხელფასები, განსაკუთრებით წარმატებული პედაგოგები 1000 ლარიან ხელფასს იღებენ. რაიონში ასეთი 5 პედაგოგია. 145-მდე სერტიფიცირებული იღებს სასერტიფიკაციო დანამატს. ყველა პედაგოგს აქვს უფასო სამედიცინო მომსახურების ბარათები. უცხო ენის პედაგოგებს საჩუქრად გადაეცათ ინგლისურის სახელმძღვანელოები.

წელს ჩვენი რაიონის 21-მა მოსწავლემ მიიღო ოქროსა და ვერცხლის მედალი და 12 მოსწავლეს საბაზო საფეხურის წარჩინებით დამთავრებისათვის გადაეცათ პერსონალური კომპიუტერები.

ყველა სკოლა მომზადებული ხვდება ახალი სასწავლო წლის დაწყებას, სახელმძღვანელოები სახელმწიფო ფასებში გაიყიდება საგარეჯოს I და სოფელ დუზაგრამის საჯარო სკოლებში.

ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედდება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა VII-XII კლასებში.

ასე რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა პირობაა შექმნილი რათა მოზარდმა მიიღოს საფუძვლიანი განათლება.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას, გისურვებთ წარმატებებს.

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგარეჯოს რაიონის რესურს ცენტრი.*

## სალომე, გიორგი და ჯემალი უკვე სტუდენტები არიან

ჯემალ მეზვრიშვილი

სალომე ლალიაშვილი



გიორგი ლალიაშვილი

საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ ისინი ჩვენი გაზეთის ფურცლების სტუმრები იყვნენ – ჯემალ მეზვრიშვილი, საგარეჯოს II საჯარო სკოლის ოქროსმედალოსანი, სალომე და გიორგი ლალიაშვილები – საგარეჯოს IV საჯარო სკოლის ოქროს (სალომე) და ვერცხლის (გიორგი)– მედალოსნები. ამჯერად სამივე სტუდენტები არიან. ჯემალი – თბილისის ილიას სახელობის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის გრანტოსანი (100%) პირველკურსელია. სალომე და გიორგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველკურსელები. სალომე გრანტის (100%) მფლობელია. გიორგის მხოლოდ ერთი ქულა დააკლდა გრანტის მოსაპოვებლად, თუმცა საგრანტო ქულების მოსაპოვებელ კონკურსში მიიღებს მონაწილეობას და იმედოვნებს, რომ გრანტს ისიც მოიპოვებს.

**ვულოცავთ პირველკურსელობას მათ და ყველა პირველკურსელს, წარმატებები და გამარჯვებები არ მოჰკლებოდეთ!**

## პირველად სკოლის, ცოდნის კარიბჭესთან

# პირველკლასელი, რომელიც ყველას გვეიმედება

აქედანვე გაფრთხილებთ, უფრო სწორად, რჩევას გაძლევთ – საბასთან საუბარი ცოტა მოზომილად გმართებთ – უკვე დიდი კაცია, სერიოზული, ძალზე სერიოზული, თავდაჭერილი, შემოგანათებს ცისფერ თვალებს და იმ წუთში თავს დახრის, მორჩილად, ზრდილობიანად გელოდებათ, რას ჰკითხავთ, საიდან დაიწყებთ საუბარს. თუმცა ამ 6 წლის ბიჭთან შეგიძლიათ ისაუბროთ ავტომობილებზე, მუსიკაზე, ქართულ სიმღერებზე, კომპიუტერში არსებულ საბავშვო სათამაშო პროგრამებზე, ხატვაზე, ქართულ და ინგლისურ ანბანზე, 10-ის ფარგლებში მიმატება-გამოკლებაზე, ჩიტუნებზე, ცხოველებზე, განსაკუთრებით კი ძაღლებზე. გაგიკვირდათ? როცა გაიცნობთ, უფრო მეტად გაგიკვირდებათ – ამ 6 წლის ბიჭში ბრძენკაციც არის, ხელოვანიც, თუმცა თავის ლამაზფერებად აკინძულ ბავშვურ ცხოვრებაში გულუბრყვილობაცაა, ცხოველების და ფრინველების მიმართ სიბრალულით სავსე გული და იქნებ თქვენ თვითონაც დაფიქრდეთ, ასეთი პატარა რატომ განიცდის მტკივნეულად თავისი საყვარელი და გონიერი ძაღლის დუ-



დას სიბერეს. ტყეში, ნეკერის საძებნელად გაპარული ბაჭიის ვეღარ დაბრუნებას ან ფრთამოტეხილი შაშვის უმწეობას...

ბორჯომში ისვენებდა ზაფხულში. ძალიან მოსწონს იქაური ბუნება, გასართობიც ბევრი ჰქონდა, მაგრამ ჩაიგდებდა თუ არა ჟურნალ-გაზეთებს, მსხვილი შრიფტით ნაბეჭდს კითხულობდა, 33-ივეს იცნობს ქართულში, ინგლისურშიც იცნობს 26-ივე ასო-ბგერას. მათემატიკასაც კარგად აუღო ალღო. ხანდახან ხატავს – ჩუქურთმებს, ქართულ ორნამენტებს. სიმღერა შეუძლია, კარგი სმენა და ხმა აქვს. იქნებ კიდეც შემომედაოთ, ნინო ნაცვლიშვილის, ლეილა შეყილაძის შვილიშვილს და თეა ხატიაშვილის შვილს როგორ არ უნდა ჰქონდეს სმენაო, მაგრამ ხელი დაიდეთ გულზე და თქვით – 4 წლიდან თუ ვინმე საბასავით გაბედულად, ჩვეულებრივად გამოსულა მაყურებლის წინ და ან სიმღერა შეუსრულებია ინსტრუმენტის თანხლებით, ან მთავარი როლი შეუსრულებია სპექტაკლში და თანაც ყურადღება მიუქცევია კონცერტის ან სპექტაკლის მსვლელობისას ვის რა უნდა ეთქვა ან მოემოქმედებინა. თუ არ გჯერათ, ჰკითხეთ I საბავშვო ბაღის მასწავლებელს ლიანა კოხტაშვილს ან საბას ყოფილ ჯგუფელებს, სამუსიკო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს. დიახ, საბა ოსიყმიშვილი 4 წლიდან (თუმცა ახლა 6 წლისაა) სცენაზე დგას, მღერის,

ცეკვავს, ლექსებს კითხულობს, ასრულებს ძნელად შესასრულებელ როლებს და რა გასაკვირი იქნება, თუ საგარეჯოს I საჯარო სკოლის პირველკლასელი I კლასიდანვე გამოიჩენს თავს სწავლაში და ხელოვნებაშიც?

რომ იტყვიან, დიდი ზარ-ზეიმით ემზადება თვითონაც და მთელი ოჯახიც ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის. იცის საბამ, რომ ნეტბუქი უნდა აჩუქონ. იცის, რომ იქ თავისი თანატოლები ბევრზე ბევრ საინტერესო საგნებს შეისწავლიან და იქ გატარებული წლები ისეთივე მოსანატრებელი იქნება, როგორც საბავშვო ბაღის კედლებში გატარებული წლები.

ფეხბედნიერი ყოფილიყოს საქართველოსთვის – საბას, ლუკას, ლიზის, გიორგის, ნიკოლოზის, ნინოს, მარიამის პირველკლასელობა.

# ახალი ცხოვრება იწყება

ყოველ დილით მძიმე, კაცური ნაბიჯით, სერიოზულად ჩაფიქრებული სახით მიუყვებოდა საბავშვო ბაღისაკენ მიმავალ ქუჩას. იმდენად სერიოზულად და დამოუკიდებლად, რომ ნაცნობებს კიდეც გვეცინებოდა მის წინ მიმავალი ხან მამიკოს, ხან დედიკოს, ხან ბებიების, პაპიდის, ბიძის დანახვაზე-თითქოს ამ პატარა ბიჭს იმ დღისით, პირიქით, თავისი გამყოლი 'მიჰყავდა" საბავშვო ბაღში ათას საზრუნავზე ჩაფიქრებულს. გაცისკროვნებული, სახეზე მზის სხივებგადაკრული, სიხარულნარევი სახითაც გვინახავს -ვხვდებოდით-იმ დღეს ზეიმი ჰქონდათ საბავშვო ბაღში. ბოლოს კი, გამოსაშვები ზეიმის დღეს სულ სხვანაირები იყვნენ დედაც და შვილიც, ერთნაირად აფოფინებულები მიდიოდნენ საბავშვო ბაღისკენ. თუმცა იმ დღეს რაღაც მაინც ჩასწყდა პაწაწინა გულში-ძაფი, რომელიც აკავშირებდა საბავშვო ბაღთან, უკვე ძალიან დაპატარავდა... დიახ, ახლაც უჭირს საყვარელ ლიანა მასწავლებელთან განშორება, თუმცა ჯგუფელების უმეტესობა ისევ ერთად იქნებიან...

ლუკა ქვლივიძეზეა საუბარი. ლუკა წელს პირველად შეაღებს პირველი კლასის საკლასო ოთახის კარებს და თანაც საგარეჯოს პირველ საჯარო სკოლაში. პირველი მასწავლებელიც იცის, ვინც იქნება- თეა. გულისფანცქალით ელის სწავლის დაწყებას, თუმცა 'მიჩვეულია" პედაგოგებთან 'ურთიერთობას". დედის დედა - მათემატიკის მასწავლებელია, ერთი პაპიდა- დაწყებითების, მეორე- ქიმიის მასწავლებლები არიან, დიდი ბებიაფილოლოგი იყო და ძალიან ამაყობს ლუკა, გადმოცემით იცის, რომ მერი ხოხობაშვილი, რომლის სახელიც დღეს ლუკას დედას ჰქვია, უდიდესი პიროვნება და შესანიშნავი პედაგოგი იყო. ერთი ეგ არის, დღემდე ვერ ეგუება მამიკოს პროფესიას –არ მოსწონს გიორგი რომ მსახიობია, ახლაც ეგვიპტეშია წასული გადაღებებზე და ძალიან ენატრება. სჯობდა მამიკო მოცეკვავე ყოფილიყო. თვითონაც, სკოლას რომ დაამთავრებს, მოცეკვავეობა უნდა აირჩიოს პროფესიად. თითქოს არც დედიკოს და ნათელა ბებოს პროფესია მოსწონს, თუმცა შეიძლება კიდეც მოსწონს

რომ დედიკო ეკონომისტია, ბებო ბუღალტერი, მაგრამ აი, სასჯელაღსრულებით დეპარტამენტში (როგორც თვითონ მიხსნის) რომ მუშაობენ რაღაც ვერა, რა...

სკოლაში სასიარულო მარშრუტი უკვე შემუშავებული აქვს: დაბადების დღეზე მშობლებმა ძალიან მაგარი ველოსიპედი აჩუქეს. ხოდა, იმ ველოსიპედით სახლიდან გამოვა, იქვე, სახლის მოპირდაპირე ქუჩაზე, 9 აპრილის ქუჩაზე გავა ველოსიპედით, მივა მარინა ბებოსთან, მიაბარებს ტრანსპორტს, დაუყვება რუსთაველს ფეხით–სკოლისკენ რა, გაკვეთილების შემდეგ ისევ იმ მარშრუტით და ტრანსპორტით დაბრუნდება სახლში. ერთი ეგ არის, ველოსიპედი ცოტა დიდია, ზედ გამართულად ვერ ჯდება, ფეხებს ვერ უწვდენს, მაგრამ, კაცია და რის კაცი იქნება თუ ნებისმიერ ტრანსპორტს უპრობლემოდ არ მართავს? ახალი დღის რეჟიმით უნდა დაიწყოს მისი ყოველდღიური ცხოვრება 17 სექტემბრიდან.

მაშ, გზა დავულოცოთ ლუკას და მის მეგობარ თანაბაღელებს ზუკას, მარის, ლიზის, გივიკოს და ყველას, ყველას, ვინც წელს პირველად შეხსნის სკოლის კარებს.

## იცის, რატომ მიდის სკოლაში



ლიზი თევდორაშვილი საგარეჯოელია. ამ ზაფხულს ძალზე გაუჭირდა I საბავშვო ბაღის აღზრდილებთან და ნინო მასწავლებელთან განშორება. მაგრამ რა ქნას. სკოლის ზარი მალე სასკოლო მერხისკენ მოიხმობს. კარგა ხანია დიდი გოგოა – სახლში თავს დიასახლისად გრძნობს, დამოუკიდებლად შეუძლია სუფრის გაშლა, ალაგება, რეცხვა, ეხალისება და ყველას ახალისებს – ბებოს, პაპას, მშობლებს. ისე ბებო-პაპასთან უფრო მეტ დროს ატარებს – მშობლები დაკავებულები არიან. და სწორედ მათი პროფესიის დაუფლება უნდა ლიზის, როცა სკოლას დაამთავრებს – ბანკში უნდა იმუშაოს. აი, ის კი არ იცის, რას ნიშნავს ბანკში მუშაობა. საუბარში ნელ-ნელა „ვაპარებ" და ვუხსნი – ბანკში კი არ უნდა იმუშაოს, უკეთესია ბანკირი გამოვიდეს. ოდნავ მოჭუტული თვალებით, ცხვირაჭმუხნული მისმენს, გამოსავალიც მალე მონახა – „რა ვიცი, ჯერ სკოლაში ვისწავლი და მერე ვნახოთო". მასწავლებელს ჯერ არ იცნობს, მხოლოდ სახელი იცის – ირინა. ჯერჯერობით არ იცის, რომ ირინა ნადირაშვილი მისი პირველი მასწავლებელი სერტიფიცირებულია და ხელფასზე დანამატის სახით ჯილდო 1000 ლარიც ექნება. აი, ლიზიმ, მერე იანგარიშოს და იბანკიროს, რამდენი ექნება მის მასწავლებელს ხელფასი. თუმცა ჯერჯერობით 20-ის ფარგლებში იცის მიმატება-გამოკლება, ყველას ასო-ბგერას იცნობს, კითხულობს, დამოუკიდებლად სწავლობს წერას, არ უნდა თავი შეირცხვინოს იმ სკოლაში, სადაც თვითონ მიდის – საგარეჯოს II საჯარო სკოლაში ის დიდედა მუშაობდა ვისი სახელიც ახლა ლიზის ჰქვია, ეთერი ბებოც იმ სკოლის ნამოწაფარია, დედიკოც – ეკა ქევხიშვილი და მამიკოც – ირადო თევდორაშვილი ფრიადოსნები იყვნენ. თვითონაც უნდა ფრიადოსანი იყოს – უფრო სწორად ათოსანი. ერთი სული აქვს, როდის მოვა 17 სექტემბერი, სულ ახლები უნდა ჩაიცვას, ახალ სკოლაში უნდა მივიდეს, ახალი ამხანაგები გაიცნოს და ახალი მასწავლებელიც გაიცნოს. და სკოლაში სიურპრიზი ელის – ნეტბუკიც იმ დღეს უნდა აჩუქონ.

## სკოლაში ბევრი საინტერესო ელოდება

გვანცა ჯერ 5 წლისაა. დაამთავრა ქალაქის I საბავშო ბაღი და ეხლა საგარეჯოს I საჯარო სკოლაში მიდის. ბევრი რამ ისწავლა საბავშვო ბაღში, მაგრამ თურმე უფრო ბევრი საინტერესო ამბები ელოდება სკოლაში. ზარი დაირეკება, კლასში თეა მასწავლებელი შემოვა, მერე ნეტბუკებს დაურიგებენ პირველკლასელებს და ტატოს, თავის უფროს ძმას, მეოთხეკლასელს, თითსაც არ დააკარებინებს. კომპიუტერთან ძლივს უთმობდა ადგილს, ხოდა ეხლა ნეტბუკი ექნება და საერთოდ აღარ დაუწყებს ტატოს ხვეწნას. ასობგერებს კარგად იცნობს, კარგად ისწავლა ბაღში, მაგრამ სკოლაში იცის, რომ სხვანაირად უნდა ისწავლოს. იქ თავისი ტოლებიც იქნებიან და უფრო მეტი უფროსკლასელები. ზოგს იცნობს, აი, მაგალითად მეზობელ მესამეკლასელ მარიამს და ძალიან უყვარს მის გვერდით ყოფნა. ორივე ქურდოვანიძეა, მარიამის ნაწერებსაც იცნობს, ხშირად ათვალიერებინებს წიგნებს, ერთადაც თამაშობდნენ ზაფხულში, ახლა ერთ სკოლაში ივლიან და მეტი საერთოც ექნებათ.

გვანცა მხოლოდ თოჯინებზე დარდობს, ვინ მიხედავს, სანამ სკოლიდან დაბრუნდება? დედაც დატვირთულია, სკოლაში ასწავლის ისტორიას, ოღონდ შორს, მანქანით სჭირდება იქამდე მისვლა და თანაც დიდი გზაა. ისევ ბებოს „ჩააბარებს", თვითონ გულდამშვიდებული რომ იყოს სკოლაში.

# მეთორმეტეკლასელები — მალე დიდი არჩევანის წინაშე

## მთავარი მიზანსწრაფვაა

ნატო ონაშვილი
*საგარეჯოს II საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელი*

ყოველი ადამიანი გარკვეული მოვალეობით იბადება და სამყაროს შეცნობისთანავე იწყებს მომავალზე ფიქრს. ბავშვობიდანვე ვფიქრობდი — რას ვიზამდი, „დიდი“ რომ გავხდებოდი. ახლა კი უკვე მე-12 კლასში ვარ და მოვალე ვარ, ფიქრს ხორცი შევასხა, რეალური გასაქანი მივცე და სასარგებლო საქმე ვაკეთო.

აბიტურიენტობა დიდი პასუხისმგებლობაა გარშემო მყოფი საზოგადოების, საკუთარი თავის, სამშობლოს და ღვთის წინაშე. მეთორმეტეკლასელს, რომელსაც პრეტენზია აქვს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში გააგრძელოს და საბოლოოდ, დაეუფლოს სასურველ პროფესიას, დიდი მსხვერპლის გაღება მოუწევს. ცხადია, ეს ახალი არაა. მაგრამ, მთავარია როგორ მივუდგებით საკითხს. მომავალში გასაწევი დიდი შრომა, გამოცდები და ა.შ. ზოგიერთ ჩვენგანში შიშსა და დაბნეულობას იწვევს. წინასწარ ვნერვიულობთ და რატომღაც, უმეტესწილად, ცუდზე ვფიქრობთ. ცხადია, ამგვარი მიდგომა ასუსტებს აბიტურიენტის შრომისუნარიანობას, მთავარია შემართება, რწმენა და იმედი, ჯერ ღვთისა და მერე საკუთარი თავისა.



გასული ზაფხული ზოგი მეთორმეტეკლასელისთვის მძიმე აღმოჩნდა — აქედანვე დაიწყეს შრომა მომავალი წლისათვის. ზოგმაც დასვენება და ძალების მოკრება არჩია. ეს არჩევანი კონკრეტულად ცალკეულ ადამიანზეა დამოკიდებული, დროის გადანაწილების მისეულ ხერხებზე. მოდით, ამ საკითხს მეტად ნუღარ ჩავუღრმავდებით...

ყველა მიზანსწრაფული აბიტურიენტის გვერდით არიან ადამიანები, რომლებიც ეხმარებიან მას დასახული მიზნის მიღწევაში. ცხადია, ყოველი ჩვენგანი ამ ადამიანების მადლიერია. მაგრამ, ვფიქრობ, მთავარი ძალა მეთორმეტეკლასელმა საკუთარ თავში უნდა იპოვოს. ძალა, რომელიც თავისთავად დაბადებს ნებისყოფას. ნებისყოფა და შრომისმოყვარეობა ყველაზე სასარგებლო დამხმარენი არიან, როცა უზარმაზარი მწვერვალის ძირში დგახარ და მის დალაშქვრას აპირებ.

მიუხედავად იმისა, რომ მომავალი სასწავლო წელი ჩვენთვის საკმაოდ რთული იქნება, მაინც დიდი იმედებითა და მონდომებით ვხვდებით მას. ვიცი, ადვილი არ იქნება და დიდი შრომა მმართებს. ღვთის წყალობით ყველანაირად ვეცდები ღირსეულად მოვიხადო ჩემი ვალი.

ადამიანებს მთელი ცხოვრების მანძილზე ხვდებათ განსაცდელი, დაბრკოლება, ან უბრალოდ რთული მომენტი, რომლის გადატანაც დიდ ძალისხმევას საჭიროებს. რაც უფრო ძნელია საქმე, მით უფრო დიდ სიხარულს გვანიჭებს მისი მშვიდობით

დასრულება. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც...

ყველა მეთორმეტეკლასელს წარმატებას და ღვთის წყალობას ვუსურვებ, ამასთან, იმედი მაქვს იპოვიან საკუთარ თავში ნებისყოფას და მიზნისაკენ მიმავალ სწორ გზას.

---

## მეთორმეტე კლასი — მეტი პასუხისმგებლობა

ქეთი მეიფარიანი საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეა. უკვე დამამთავრებელ კლასშია და რასაკვირველია ძალიან ღელავს მოახლოებული გამოცდების გამო. როგორც მისგან გავიგე, გასული ზაფხული საკმაოდ საინტერესოდ გაუტარება. თავისი შთაბეჭდილებებისა და საქმიანობის შესახებ თავად ქეთი გვესაუბრება.

***- როგორ გაატარე არდადეგები? საკმაოდ ცხელი ზაფხული იყო და ალბათ შენც, სხვების მსგავსად, სადმე იქნებოდი დასასვენებლად?***

- ივნისში მივიღე შეტყობინება, რომ „სოციალური მედიისა და გრანტების კონკურსში“ გამარჯვების შედეგად კახეთის რეგიონიდან მივდიოდი „თავისუფალი უნივერსიტეტის“ სასწავლო კომპლექსში. „სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამისა“ და „სიქა“-ს მიერ ორგანიზებულ საგანმანათლებლო ბანაკში, სახელწოდებით „ მე აქტიური მოქალაქე ვარ“. ეს ჩემთვის იყო აქტიური დასვენება. გართობასა და სწავლას ერთმანეთს ვუთავსებდი და ვფიქრობ, რომ საკმაოდ საინტერესოდ გავატარე დრო. მივიღე გამოცდილება, რომელმაც ამიმაღლა მოტივაცია, სამომავლოდ კი კარიერულ წინსვლაში დამეხმარება. გავიცანი ბევრი აქტიური ახალგაზრდა, მათთან ერთად დავგეგმეთ რამდენიმე პროექტი, რომლებსაც უახლოეს მომავალში განვახორციელებთ.

***— საინტერესოა, რას შეეხება თქვენს მიერ დაგეგმილი პროექტები, ექნებათ თუ არა შესაძლებლობა შენს თანატოლებს, ჩაერთონ მასში?***

— ბანაკში რამდენიმე პროექტი შეიქმნა, მაგრამ ყურადღებას გავამახვილებ იმ პროექტზე, რომელიც პირადად მე და ჩემმა თანაგუნდელებმა დავგეგმეთ.

ადამიანთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ სხვისთვის სასარგებლო საქმის კეთება და სამოქალაქო აქტივობა დროის ფუჭად კარგვაა. ჩვენ, ჩვენი პროექტის ფარგლებში, გადავწყვიტეთ ჩავატაროთ კინო და თეატრალური ჩვენებები, გამოვკრათ აფიშები, რისი მეშვეობითაც შევძლებთ ხალხს დავანახოთ, თუ რამდენად სარგებლიანია ახალგაზრდების ჩართულობა სამოქალაქო აქტივობებში. იმედია ეს ორთვიანი მუშაობა შედეგს გვაჩვენებს. ამასთანავე, სურვილისამებრ, ყველას შეეძლება შემოგვიერთდეს ,როგორც მოხალისე და მონაწილეობა მიიღოს ჩვენს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში.

***— იმედია თქვენი მუშაობა პროდუქტიული იქნება, წარმატებებს გისურვებთ. სამწუხაროდ გართობისა და დასვენების დრო უცებ გავიდა, მე-12 კლასი კი დიდ პასუხისმგებლობას და შრომას მოითხოვს. როგორი განწყობით ხვდები ახალ სასწავლო წელს?***

— ამ წელს დიდი შემართებით და ენთუზიაზმით ვხვდები. მიუხედავად იმისა, რომ სატესტეტო გამოცდების გამო ცოტა ვღელავ, მაინც ვიმედოვნებ, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლის. ვიცი, რომ აბიტურიენტობა რთულია და დიდ შრომას მოითხოვს. გული მწყდება, რომ სულ უფრო ნაკლები დრო დამრჩება გართობისთვის.

***— თავისუფალ დროს რითი ერთობი? იქნებ ცოტა რამ გვიამბო შენი ჰობის შესახებ?***

— ძალიან ბევრი რამ მიტაცებს კითხვა, სპორტი, მუსიკა. განსაკუთრებით კი კომპიუტერული დიზაინი და თავისუფალ დროს საინტერესო ბლოგების ძიებას, პოსტების განახლებას ვუთმობ პირად საიტზე. შემთხვევით ვისარგებლებ და აქვე აღვნიშნავ, რომ შეგიძლიათ ესტუმროთ ჩემს ბლოგს Iamvolunteer.wordpress.com დაიმეგობრეთ, ბევრ საინტერესო ინფორმაციას აღმოაჩენთ.

***— და ბოლოს, რას ურჩევდი თანატოლებს, რომლებიც შენს მსგავსად აბიტურიენტები არიან და არანაკლებ ღელავენ დატვირთული სასწავლო წლის მოლოდინში?***

— პირველ რიგში, მინდა ვურჩიო, რომ მაქსიმალურად მობილიზებულნი გახდნენ, შეიძინონ მეტი ცოდნა, ყურადღება დაუთმონ წიგნებს, ვიდრე გართობას. დღევანდელი თაობის სენი ხომ სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტ თამაშებზე მიჯაჭვულობაა. კარგი იქნება, თუ წელს კომპიუტერს მხოლოდ შემეცნებით დატვირთვას შესძენენ. ყველას ვუსურვებ გამოცდების წარმატებით ჩაბარებას და დასახული მიზნების განხორციელებას.

***— ქეთი, მადლობას გიხდი საინტერესო საუბრისთვის. წარმატებებს გისურვებ.***

*ანანო ქელეშიძე,*
***თბილისის ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტი***

---

ქეთი აზარიაშვილი, *საგარეჯოს III საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე*

### წუთისოფელი

დგება დღე,როდესაც იბადები.. ევლინები ამ ტკივილით მოცულ ცხოვრებას, ხდები პიროვნება, სწავლობ ლაპარაკს, სიარულს, ქცევებს, წლები გარბიან, ზოგჯერ კი მოიზლაზნებიან. ყოველ დღე რაღაც გიხარია, ყოველ დღე რაღაცას განიცდი, ყოველ დღე რაღაც გტკივა... წლები გემატება, იზრდები და ცხოვრებას სხვანაირი თვალით უყურებ, არა მარტო ცხოვრებას, არამედ ყველას და ყველაფერს. რამდენჯერ დაეცემი და რამდენჯერ მოგიწევს წამოდგომა, რამდენჯერ დაყრი ფარ-ხმალს და რამდენჯერ წელში გაიმართები, თუმცა ადამიანი ხომ იმით ფასდება, თუ როგორ გადაიტანს განსაცდელს. რამდენი მწუხარება, ტანჯვა და წამება გელის თუნდაც იმიტომ, რომ ნორმალური მომავალი შეიქმნა, რამდენი დაგაფასებს და რამდენი წიხლით გაგთქერავს. რამდენი შემთხვევა გექნება ნერწყვის გადაყლაპვა რომ მოგინდება, მაგრამ უცებ გაჯიუტებული ცრემლი რომ მოგაწვება თვალზე, რომ ვერ შეიკავებ, სახეს რომ დაგისველებს და სახეზე რომ მოგელამუნება.

წლები გადის და სახეზე მთელი შენი განვლილი ტანჯვა გესახება.. რამდენჯერ რამდენ რამეს ნანობ და რამდენჯერ ნატრობ – ნეტავი დრო დამაბრუნებინა და ჩემი შეცდომები გამომასწორებინაო. რამდენჯერ გტკივა შენი ყოველი შეცდომა, რომლებიც არ გეპატიება. წლები გარბიან და მოხუც სახეზე მხოლოდ თვალებშიღაა სიცოცხლის ნიშანწყალი. ერთ დღეს კი წვები იმ იმედით, რომ ხვალ ისევ გაიღვიძებ,ისევ შენს საყვარელ საქმეს განაგრძობ, მაგრამ როგორც ოდესღაც, ახლაც ისევ გიცრუვდება იმედები და ერთ დროს სიცოცხლით სავსე თვალები გეხუჭება, გეხუჭება სამუდამოდ. ისევ ებრძვი რაღაცას, მაგრამ ცხოვრება არ გინდობს და მიგაქანებს სადღაც შორს......

### „ჭერმობა იყო“

ჭერმობა იყო!

სოფლიდან ბავშვების ჟრიამული ისმოდა მაღალი ცის ქვეყანაში ხომ გაზაფხული იყო ბევრისთვის წელიწადის ყველაზე ლამაზი დრო. ხეხილს კვირტები გამონასკვოდა და სასიამოვნო გაზაფხულის დამათრობელი სუნი ტრიალებდა და მთელი სოფელიც გარეთ იშლებოდა. როგორც იქნა ახდა მათი ოცნებაც და მოვიდა გაზაფხული, ცოტა გვიან, მაგრამ მაინც მოვიდა და კიდევ ერთხელ გაიმარჯვა სიცივეზე.

„ჭერმობა იყო”

## შემოქმედება

ყოველი მხრიდან მდინარის სასიამოვნო რაკრაკი და ჩიტების საამო ჟღურტული ისმოდა. მზე უხვად ესროდა დედამიწას სხივებს, პეპლებიც ლამაზად დაჰფარფატებდნენ მინდვრის ყვავილებს. ორი ახალგაზრდა მდინარის პირას იჯდა და შაირობდა. შორიდან სულში ჩამწვდომი ნოტების ხმა მოისმოდა, ხელად ჩაფიქრდა ორივე, ის დრო გაახსენდათ, ჩუმად რომ ხვდებოდნენ ამ ადგილას ერთმანეთს, ჟრიამულობდნენ, სალამურს უკრავდნენ, ჩრდილში ისვენებდნენ, ბოლოს კი სახლისკენ მიიჩქაროდნენ, მდინარეს წყალაღმა მიუყვებოდნენ და ხელადით ცივი, ანკარა წყალი მიჰქონდათ. ისიც გაახსენდათ, საკურთხეველთან მოძღვარმა როგორ დაწერათ ჯვარი და როგორ უხაროდათ, მაშინაც ჭერმობა იყო. ახლაც უხარიათ ერთად რომ არიან ასეთი ბედნიერები.

ისევ ჭერმობა იყო, ისევ გაზაფხულის სურნელი ტრიალებდა მაღალი ცის ქვეყანაში, ისევ ერთმანეთით ხარობდნენ, ოღონდ არა ორნი, არამედ ახლა უკვე სამნი.!

ახალი სასწავლო წელი

# ტვირთი მძიმე და სასურველი

**ახალი სასწავლო წლიდან, ახალი საზრუნავი, ფიქრი, ქმედება, ახალი დღის რეჟიმი იწყება ყველასათვის, ვინც პირველად შეაღებს სკოლის კარს, როგორც მოსწავლე, იქნებ როგორც მასწავლებელმაც. მაგრამ, ხომ არიან მასწავლებლები, რომლებიც ათეული წლებია ახალი სასწავლო წლიდან სკოლის კედლებში აგრძელებენ მნიშვნელოვნად ნაყოფიერ საქმიანობას,. ქ-ნი *ნელი ქაიხოსროშვილი,* საგარეჯოს I საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი 36-ე წელს მიითვლის მასწავლებლის სამუშაო სტაჟისას. სწორედ ქალბატონ ნელის ვთხოვეთ ამ გადასახედიდან ესაუბრა ჩვენთვის, თუ რას ნიშნავს მისთვის მასწავლებლობა.**

დავიწყებ იმით, რას ნიშნავს ჩემთვის პედაგოგობა. ეს უბრალოდ პროფესია კი არ არის, ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა ქვეყნის წინაშე, ეს რაღაც ახლის მოლოდინია, შინაგანი მოთხოვნილებაა ყოველდღიური რუდუნებით სრულყოფის, ცოდნის გაღრმავების, სიახლის წვდომისა და გათავისების.

მე მახსოვს, უნივერსიტეტში ლექტორი მყავდა – ქართული ენის მეთოდიკის ცნობილი მკვლევარი – მარიამ თალაკვაძე, რომელიც გვეუბნებოდა, რომ მხოლოდ მასწავლებლად არ უნდა დარჩე, იმდენი უნდა იშრომო, ისწავლო, რა ასაკისაც არ უნდა იყო, რომ მოძღვრად იქცეო. მაშინ შეიძლება ისე ღრმად ვერ ვწვდებოდი ამას, ახლა ვხვდები ამ სიტყვების არსს. მოძღვრობა საგნის ღრმა ცოდნა კი არ არის მხოლოდ, არამედ პირველ რიგში სულიერი საზრდოს მიცემაა მოზარდისათვის. ვფიქრობ,მასწავლებელ – მოძღვრად უნდა დაიბადო, შეიძლება გადაჭარბებულად ვაფასებ მის ღვაწლს, მაგრამ ასე მგონია, ერის წინსვლა, მისი ძლიერება ბევრადაა დამოკიდებული პედაგოგის ოსტატობაზე, მის ინტელექტსა და პროფესიონალიზმზე.

მასწავლებლობა ხელოვნებაა, რასაც მთელი გულით უნდა ემსახურო და მაშინ იგრძნობ თვითკმაყოფილებას, როცა ჩათვლი, რომ ის, რისი გადაცემაც გინდოდა, მიეცი და შედეგიც მიიღე. ამდენად, პედაგოგის მთელი ცხოვრება ძიებაა, სწავლა, შრომა, მოთმინება, ნებისყოფა და რაც მთავარია, სიყვარული პროფესიისა და სიყვარული ბავშვისა. დამეთანხმებით, ეს ყველაფერი რთულია, მაგრამ, იმდენად სასიამოვნოც, როცა შენი შრომის ნაყოფს ხედავ, ვერასოდეს შეელევი ამ საყვარელ საქმეს. და მეც, რაკი ერთხელ სკოლაში შევედი, სხვა საქმეზე აღარც მიფიქრია. 36 წელიწადი ისე გავიდა შრომასა და სწავლაში, რომ ვერც კი გავიგე. თითქოს გუშინ იყო, უნივერსიტეტდამთავრებული გოგონა რომ დავუბრუნდი საგარეჯოს. სამსახური საზოგადოება „ცოდნის“ რაიონულ განყოფილებაში მომცეს, მაგრამ, მალე მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო, და გადავედი საგარეჯოს მესამე საშუალო სკოლაში მასწავლებლად. იმ დღიდან სკოლას არ მოვცილებივარ. უამრავმა თაობამ გაიარა ჩემს ხელში, ვერ დავთვლი, რამდენმა. ბევრმა სიბეჯითით და ნიჭიერებით დამამახსოვრა თავი, ბევრმა– სიცელქით. ჩემთვის ყველა ერთნაირად საყვარელი იყო. კლასში ყოველთვის ერთი ფიქრით შევდიოდი და შევდივარ: ყველა ბავშვი სუფთაა, მთავარია, შენ აჩვენო დიდი სიყვარული, იყო მომთხოვნი პირველ რიგში საკუთარი თავის და მერე მათ მიმართ და ისინი აუცილებლად გიპასუხებენ სიყვარულით. აი, ისინიც: გია ჩალათაშვილი, ილია ჭიაურელი, ილია მატიაშვილი, გურამ ჯინჯიხაძე, ნინო და თამარ ლაფაჩიშვილები, ნონა და მანანა ჩუნთიშვილები, ლალი ხატიაშვილი, მაია დოხტურიშვილი, თამარ ქურთიშვილი, მარი გილაშვილი, ნიკა ქურხული, გურამ ნადირაშვილი, დარეჯან, ნინო და ნესტან კერატიშვილები, ნიკო ლასურაშვილი, ლევან ჭიკაძე, ზაზა საბაშვილი და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი. მე ხშირად ვარ მათთან ჩემი ფიქრებით, მახსენდება მათთან ჩატარებული გაკვეთილები. წარმოიდგინეთ, პრობლემურ კითხვებზე მათი პასუხებიც კი მახსოვს.

რომაელებსა და ბერძნებს ფილოსოფოსები ასწავლიდნენ ყველგან: ქუჩებში, სახლებში, ორღობეებში, ანუ ისინი ცხოვრებას ცხოვრებაში აკვირდებოდნენ, ქმნიდნენ თეორიებს, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. შესაბამისად მასწავლებელი ყოველდღიურად ზრუნავს სკოლაში, მშობელი – სახლში, საზოგადოება – სკოლისა და სახლის გარეთ და თუ ამ სამი რგოლიდან რომელიმე სუსტია, მაშინ ვერ ხერხდება ბავშვის ჰარმონიული განვითარება, ანუ ვერ განხორციელდება საყოველთაოდ ცნობილი დევიზი: „ჯანმრთელი სული–ჯანმრთელ სხეულში“. აკი, ერის მოძღვართმოძღვარი ილია გვასწავლიდა: „ქვეყანა ახლა მისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეთა-მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულითა და ხორცით, ცოდნითა და მარჯვენით“.და კიდევ უფრო მძაფრადაა გამოთქმული ყველაზე თანამედროვე აზრი შემდეგ სიტყვებში, რაც მომავალი თაობისათვის სახელმძღვანელოდ უნდა იქცეს: „ეხლაც ომია, ხოლო ომი სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნაღარა... კოკისპირულს, შხაპუნა ნიაღვარს კი არ ჰგავს, მთა და ბარი წაიღოს...ეს ომი შრომისაა და ვითარცა შრომა- პატიოსანია, ნამუსიანია...ჩვენ გვესმის კი ეს ღაღადი?“

ეს მართლაც ღაღადია, რამაც თითოეულის გულამდე უნდა მიაღწიოს. თუკი ილიას, ვაჟას გზით ივლის ახალგაზრდობა, სიმართლისა და ღვთის სიყვარულის გზით ივლით, გამოადგებით საკუთარ თავსაც და ქვეყანასაც.

მე მინდა ყველა მასწავლებელს, ყველა მშობელს მოვუწოდო, ვასწავლოთ მოყვასის სიყვარული, დანდობა, შრომა, ღვთის შიში, განსაკუთრებით კი მასწავლებლებს შევახსენო დიდი ესპანელი პედაგოგის გაბრიელა მისტრალის სიტყვები: „გევედრები, ღმერთო, მიბოძე სულგრძელობა, მაშორე სულმოკლეობა. აღმოფხვერი ბილწი სურვილი შურისგებისა. მომმადლე ნიჭი სიყვარულისა, შემაძლებინე დედასავით შევათავსო და დავიცვა ისინი. მიბოძე უბრალოება და სიღრმე. დამეხმარე, რომ ჩემი გაკვეთილები არც რთული იყოს და არც ერთფეროვანი. შემაძლებინე, რომ ჩემს სამუშაო მაგიდასთან არ მიმყვეს ჩემი სადღეხვალიო საზრუნავი, გაუთავებელი წვრილმანი სატკივარი“ და ა.შ. ეს ფიცი ჰიპოკრატეს ფიცივით უნდა დავიზეპიროთ ალბათ თითოეულმა პედაგოგმა და მხოლოდ მაშინ შევასრულებთ ჩვენს ვალს ამ ქვეყნად პირნათლად.

# „სკოლაში დაბრუნებულ მოსწავლეებს ბევრი სიახლე დახვდებათ“...

**სულ ორიოდე დღეღა გვაშორებს 17 სექტემბრიდან – ახალი სასწავლო წლის განახლების თარიღიდან. ჩვენი მოსწავლე-ახალგაზრდობის ცხოვრებაში ამ მნიშვნელოვანი დღისთვის ბევრი რამ გაკეთდა მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რათა სკოლაში დაბრუნებულ თუ ახლად მისულ მოსწავლეებს სწავლა-აღზრდის შესაფერისი გარემო პირობები დახვდეთ. ერთ-ერთი მათგანია ნ. ჭანტურიას სახელობის II საჯარო სკოლა, რომელსაც არცთუ ისე დიდი ხანია ახალი მენეჯერი ლელა ფანოზიშვილი ჰყავს. თუ როგორ მოემზადნენ ამ სკოლაში სასწავლო პროცესის განახლებისათვის, ამის შესახებ მასთან ქვემოთ მოყვანილი საუბრიდან შევიტყობთ:**

– ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის სამზადისი ჩვენს სკოლაში წინა წლის სასწავლო პროცესის დასრულებისთანავე დაიწყო, – გვეუბნება ლელა. – განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით აქ ჩატარდა ფართო სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაც შპს „ჯინო+“ მშენებლებმა განახორციელეს. პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ მთლიანად გარემონტდა წლების მანძილზე შეუკეთებლობით დაზიანებული და იატაკჩანგრეული სკოლის ფოიე. აქ, ამ იატაკის ნაცვლად დაიგო მეტლახის იატაკი, მოპირკეთდა და შეიღება სკოლის ჭერი და კედლები,.იატაკი, ასევე,მთლიანად შეიცვალა სკოლის I სართულის მთელ კორიდორში, ნაწილზე ისევ მეტლახით, ნაწილზე პარკეტით. ხის ახალი კარებით შეიცვალა ამავე სართულის ყველა კლასისა და სხვა ოთახ-კაბინეტების კარებები.

გარემონტდა და ლამინატის იატაკი დაიგო პირველკლასელთა ოთახში. მსგავსი რემონტი ჩაუტარდა დირექციის და კანცელარიის ოთახებს.

სკოლაში მოსული მოსწავლეებისათვის სიახლე იქნება ისიც, რომ სასკოლო შენობაშივე იმავე დაფინანსებით მოეწყო სველი წერტილები – პირველ სართულზე გოგონებისათვის, მეორეზე კი ვაჟებისათვის. მთლიანად შეიცვალა ელექტროგაყვანილობა პირველ სართულზე. დამატებით სკოლამ საკუთარი სახსრებით გაარემონტა სამასწავლებლო, შეიძინა ინვენტარი კანცელარიისა და კაბინეტებისათვის, ასევე ინდივიდუალური მერხები პირველკლასელებისათვის, რესტავრაცია ჩაუტარდა არსებულ სასწავლო ინვენტარს, მერხებსა და სკამებს, დაახლოებით სამი კლასისათვის.

სკოლა აქტიურად იყო ჩაბმული სტუდენტური დასაქმების პროექტ SUMMER job პროექტში. აქ, ამ პროექტის ფარგლებში დასაქმებულმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოებში, ასევე გაგვირემონტეს სასკოლო ბიბლიოთეკის ოთახი, ისე, რომ სკოლაში დაბრუნებულ მოსწავლეებს ბევრი სიახლე და გადასხვაფერებული სასწავლო გარემო ელით.

***– პედაგოგიური კადრების შესახებ რას გვეტყვით, ამ მხრივაც ხომ არ ელით თქვენს მოსწავლეებს რაიმე სიახლე?***

– არა, ამ მხრივ რაიმე სიახლე და ცვლილება არაა, თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ სკოლა კვალიფიციური პედაგოგიური კადრების სიმცირეს განიცდის. ჩვენ უკვე გვყავს 9 სერტიფიცირებული და 8 ისეთი პედაგოგი, რომელთაც ერთ საგანში უკვე ჩაბარებული აქვთ გამოცდები. მათგან ახალი სასწავლო წლიდან ხელფასზე 1000 ლარიან დანამატს მიიღებს დაწყებითი კლასების მასწავლებელი ირინა ნადირაშვილი, რუსული ენის მასწავლებელი ელზა ზაკალაშვილი – 200 ლარიან დანამატს, დანარჩენი ხუთი პედაგოგი კი 75 ლარიან დანამატს. ამას გარდა, სკოლა აღჭურვილია სათანადო კომპიუტერული ქსელით (გვაქვს 21 კომპიუტერი). ყველაფერი ეს კი იმის საწინდარია, რომ ჩვენს მოსწავლეებს აქვთ პირობები შექმნილი, სრულყოფილად ეზიარონ თანამედროვე სწავლა-აღზრდის საფუძვლებს, რაც მათ არაერთხელ და წინა სასწავლო წელსაც დაამტკიცეს.

***– რაკი წინა სასწავლო წელი ახსენეთ, ბარემ დავაკონკრეტოთ თქვენი მოსწავლეების „სწავლის ფრონტზე“ მიღწეული წარმატებები.***

– გარდა იმისა, რომ ჩვენ გასულ სასწავლო წელს გვყავდა უამრავი სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციების, საგნობრივი ოლიპიადებისა და სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეები, სკოლის კურსდამთავრებული 17 მეთორმეტეკლასელიდან ყველამ შეძლო ატესტატის მიღება, მათ შორის გვყავდა 3 ოქროს და 1 ვერცხლისმედალოსანი მოსწავლე. აღნიშნული მედალოსანი მოსწავლეებიდან სწავლის დაფინანსების 100%-იანი გრანტი მოიპოვა და თბილისის ილიას სახელობის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა ჯემალ მეზვრიშვილი, ვერცხლის მედალოსანმა ნინო მეკოკიშვილმა 50%-იანი დაფინანსება მოიპოვა. საერთო ჯამში წელს ჩვენი სკოლის 14 აბიტურიენტიდან 11 გახდა სტუდენტი. მათგან 30%-იანი გრანტი მიიღო სამმა.

***– თქვენი სკოლის მოსწავლეთა წარმატებებისა და სასკოლო ტრადიციების შესახებ არაერთხელ აღნიშნულა და მათ შორის ჩვენი გაზეთის მეშვეობით. ეს, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა, მაგრამ უკვე წარსულია. ამ სასწავლო წელს რამდენი მოსწავლე გაარძელებს სასკოლო ტრადიციებს?***

– ახალი სასწავლო წლისათვის სკოლაში 352 მოსწავლე გვეყოლება, აქედან 20 პირველად შემოაღებს სკოლის კარებს, პირველად მიუჯდება მერხს. ჩვენი პედაგოგების, დირექციის მოვალეობაა მათი სახით ჩვენს ქვეყანას აღვუზარდოთ განათლებული, ერუდირებული და პატრიოტი მამულიშვილები, ეს საქმე ჩვენს პედაგოგებს არასოდეს შეშლიათ და გამონაკლისი არც ეს სასწავლო წელი იქნება.

**ესაუბრა გივი დაბახიშვილი**

ახალ კედლებში

# ახალ სასწავლო წელს ახალი სკოლის შენობა

ასეთი სასიხარულო და საზეიმო ახალი სასწავლო წლის დასაწყისი დიდი ხანია არ ჰქონიათ შიბლიანელ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, უფრო სწორად, 1968 წლის შემდგომ ახალი სასკოლო შენობა აშენდა. 44 წელიწადი ემსახურა სკოლის შენობა აქაურებს. მხოლოდ 12 წელს დასცალდათ შიბლიანელ მოზარდებს ამ სკოლის კედლებში ნორმალური სწავლება. 1980 წელს კი პირველი ბზარები გაჩნდა „თიხის ფეხებზე“ – 60 სანტიმეტრიან ფუნდამენტზე მდგარი შენობის კედლებში.

მის შემდგომ სულ შიშის თვალით შესცქეროდნენ აქაური მოსწავლეებიცა და მათი აღმზრდელებიც შენობის ჭერკედლებს. ვერაფერი უშველა თიხნარ, მცოცავ ქანებზე აგებულ შენობას ვერც იმავე წელს ჩატარებულმა დროებითი გამაგრების სამუშაოებმა და ვერც 1998-1999 წლებში რკინის სალტეებით გამაგრებამ. 2007-2008 წელს კი სკოლის უკანა, ჩრდილო-დასავლეთის საძირკველი ისე დაიწია და ისე დაიბზარა, რომ იქ სასწავლო პროცესის ჩატარება უკვე შეუძლებელი გახდა. სხვა გამოსავალი რომ ვერ მოინახა, მოსწავლე ახალგაზრდობა და მათი აღმზრდელები შიბლიანის გამგეობის (ყოფილი საბჭოთა მეურნეობის კანტორის) შენობის იძულებითი „მდგმურები“ გახდნენ, სადაც შეუძლებელი გახლდათ სასწავლო-საალმზრდელო პროცესის ნორმალურად წარმართვა.

შიბლიანელთა ეს პრობლემა კარგა ხანია ცნობილი იყო ქვეყნის უმაღლეს ინსტანციებში, მაგრამ მას ყურადღება მხოლოდ ქვეყნის ამჟამინდელმა მთავრობამ მიაქცია. მათ გულთან მიიტანეს აქაური პატარების გასაჭირი და გადაწყდა იმავე ადგილზე, ახალი, თანამედროვე სტანდარტების დონეზე აღჭურვილი სკოლის მშენებლობა, რომელიც მოკლე დროში – 2012-2013 ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე უნდა შესულიყო მწყობრში.

შიბლიანში ახალი სკოლის მშენებლობის დაწყების შესახებ ჩვენმა გაზეთმა თავის დროზე უკვე მოუთხრო თავის მკითხველს, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, რომ შიბლიანისა და ჩვენი მუნიციპალიტეტის ისტორიაში ახალი ათასწლეულისა და ახალი საუკუნის პირველი ახალი საგანმანათლებლო დაწესებულების მშენებლობა 2011 წლის 26 დეკემბერს დაიწყო და მიმდინარე წლის 15 აგვისტოსთვის

უნდა დასრულებულიყო. სკოლის მშენებლობისათვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან გამოიყო 782 ათასი ლარი; გამოცხადდა შესაბამისი ტენდერი და მასში გამარჯვებული შპს „ცივილკონსტრუქციონის“ მშენებლები საქმეს შეუდგნენ. ნიადაგის მდგომარეობიდან გამომდინარე, მომზადდა სპეციალური, რკინა-ბეტონის სამშენებლო მოედანი, მთლიანი შენობა კი ხის მასალითაა აგებული.

– როგორც ხედავთ, სკოლის მთლიანი შენობის გარე ფასადი ხისაა, – მითხრა 20 აგვისტოს ახალი სკოლის დასათვალიერებლად მისულს სკოლის დირექტორმა **<u>დავით ხუროშვილმა</u>**, შიდა კედლებისათვის კი ე.წ. „გიპსოკარდონი“ არის გამოყენებული. კედლებს შორის დატანებულია თერმოიზოლაცია, გარედან კი დამუშავებულია ჭიის საწინააღმდეგო სპეციალური ხსნარით. მთლიანი შენობის საექსპლოატაციო ვადა 50 წელია, მაგრამ ისეთია, მეტსაც გაუძლებს.

სკოლა 120 ბავშვზეა გათვლილი და მასში 12 საკლასო ოთახია, აქვეა განთავსებული ბიბლიოთეკა, საკომპიუტერო ოთახი, სამასწავლებლო, სააქტო დარბაზი, დირექტორის კაბინეტი. შენობაშივეა მოწყობილი სველი წერტილები. გვექნება თანამედროვე დონეზე მოწყობილი გათბობის სისტემა, დამონტაჟებულია სპეციალური ქვაბი, რომელიც ძირითადად შეშით გათბება. შემოყვანილია სასმელი წყალიც.



სკოლის შენობის იატაკი, კარ-ფანჯრები და გადახურვა მეტალოპლასტმასისაა. ყველა კლასში დაყენებულია სიგნალიზაციის ნათურები, რომლებიც ავტომატურად ჩაირთვებიან ხანძრის ან სხვა საშიშროების დროს. ამას გარდა, ეზოს გაუკეთდა შემოღობვა. სკოლის შესასვლელში მოწყობილია საყვავილე და სხვა.

***– ახალ სასკოლო შენობაში ალბათ ახალი ინვენტარიც დახვდება 17 სექტემბერს აქ მოსულ მოსწავლეებს.***

– კი, უკვე შემოტანილი გვაქვს 80 ახალი ინდივიდუალური მერხი და სკამი, დაფები, ნაწილსაც ამ დღეებში ველოდებით. ჩვენი სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს ასევე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 8720 ლარის ავეჯის შესაძენად. აქ შედის დირექციის, სამასწავლებლოს, ბიბლიოთეკის, თითოეული საკლასო ოთახის მასწავლებლების მაგიდები, კარადები და სხვა ინვენტარი. ერთი სიტყვით ეს იქნება თანამედროვე დონეზე მოწყობილი და აღჭურვილი სასკოლო შენობა, რომლის ანალოგიც ქვეყანაში ალბათ არ არის. ყველაფერ ამისათვის მე მინდა წინასწარ დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენი ქვეყნის მთავრობას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, ყველას, ვისაც კი მცირეოდენი წვლილი მიუძღვის და ერთი აგურიც კი დაუდვია ამ საშვილიშვილო საქმეში.

***– რამდენი შიბლიანელი მოსწავლე იზეიმებს ახალი წლის დაწყებას ახალ სკოლაში?***

– წელს ამ ზეიმისა და სიხარულის მონაწილე 68 მოსწავლე და მათი ახლობლები იქნებიან. ასევე 20 გამოცდილი და პროფესიონალი მასწავლებელი.

***– თუ არ ეცდები, წინა სასწავლო წელს სკოლაში 73 მოსწავლე გყავდათ. წლევანდელი 68 მოსწავლიდან რამდენი პირველკლასელი მიუჯდება მოსწავლის მერხს?***

– სამწუხაროდ, კლება გვაქვს ამ კუთხით. წინა სასწავლო წელი ჩვენმა 13-მა მეთორმეტეკლასელმა დაამთავრა, პირველკლასელი კი მხოლოდ 5 გვეყოლება. რაც შეეხება სკოლადამთავრებულებს, სააატესტაციო გამოცდები ჩააბარა და ბარიერი გადალახა 12-მა. მათგან უმაღლესში მოეწყო 3 აბიტურიენტი. ერთი მათგანი – ნათია მარგებაძე 30%-იანი გრანტის მფლობელი გახდა.

***– საუბარში თქვენ კომპიუტერების ოთახი ახსენეთ. როგორი იქნება მისი აღჭურვის საქმე. ახალ ტექნიკას ელოდებით, თუ ძველი დარჩება?***

– სკოლას დღესდღეობით 11 კომპიუტერი აქვს, რომლებიც ამ უახლოეს წარსულშია შემოტანილი და თითქმის სულ ახალია. ჯერჯერობით მოგვიწევს ამაზე გაჩერება. სამომავლოდ კი ალბათ ახალ კომპიუტერებსაც შემოვიტანთ.

***– ძველი სასკოლო შენობის მასალებს, რომლის დემონტაჟიც ახლა მიმდინარეობს, რას უპირებთ?***

– ძველ სკოლას ფუნდამენტი არ უვარგოდა, თორემ მისი მასალები ისევ გამოსაყენებელია – საუბარში გვერთვება სოფლის რწმუნებული **<u>პაატა ჭამიაშვილი</u>**. აქედან წაღებულ მასალებს დავასაწყობებთ, ოქტომბრის თვიდან კი სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში ამ მასალებით გვინდა სკოლის ჩრდილოეთ მხარეს სარიტუალო სახლის აშენება.

*გივი დაბახიშვილი*

## სასწავლებლად გიწვევთ

**ილია მატიაშვილი** – *ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს პროფესიული კოლეჯის დამფუძნებელი, ინფორმაციულ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი:*

# „ჩვენი სასწავლებლის კურსდამთავრებული ადვილად დასაქმდება“

ჩვენი რაიონის თბილისთან სიახლოვე ახალგაზრდების უმეტეს ნაწილს სწორედ თბილისის უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებისკენ იზიდავს. მაგრამ არის ნაწილი ოჯახებისა, უსახსრობის გამო არ შეუძლიათ შვილის სხვა ქალაქში სასწავლებლად გაშვება. იქნებ მათგან უმრავლესობამ არც იცის, რომ აქვე, საგარეჯოში გვაქვს სასწავლებელი, რომელიც აგერ, 12 წელია საკმაოდ ნაყოფიერად ემსახურება თავისზე დაკისრებულ მოვალეობას. დღეს გაზეთის საშუალებით მისი დამფუძნებელი ბ-ნი **ილია მატიაშვილი** სწორედ სასწავლებლის საქმიანობაზე გვესაუბრება.

*– ბატონო ილია, დღეისათვის განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმა ძალიან აქტუალურია, ჩვენი ღრმა რწმენით მოსახლეობა ამ მიმართულებით ნაკლებად არის ინფორმირებული. გთხოვთ მოკლედ გვესაუბროთ ზოგადად განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების შესახებ.*

– განათლების რეფორმა რამდენიმე წელია მიმდინარეობს, მიზანი სწავლების ხარისხის დახვეწა და ამაღლებაა. ამ მიზეზით გაიზარდა სასწავლებლებისადმი მოთხოვნებიც განათლების სამინისტროს მხრიდან, შეიქმნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, სადაც ხდება საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია (ლიცენზირება), მუშაობს მონიტორინგის სამსახური, რომელიც პერიოდულად გაუფრთხილებლად ამოწმებს პროფესიულ კოლეჯებს, უმაღლეს სასწავლებლებს.

თვით სასწავლებლები ვალდებულნი არიან ჰქონდეთ საკუთარი ვებ–გვერდი, ელექტრონული ფოსტა და ახორციელებდნენ პირდაპირ კავშირს განათლების სამინისტროსთან. განათლების სამინისტრომ მიიღო ახალი ავტორიზაციის კანონი, რის საფუძველზეც დაიწყო და გრძელდება უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლების ავტორიზაციები. გაუქმდა ბევრი უმაღლესი და პროფესიული სასწავლებელი, მათ შორის პირველ რიგში ის სასწავლებლები რომლებსაც არ ქონდა ავტორიზაცია (ლიცენზია).

შემოწმდა ჩვენი რაიონის პროფესიული სასწავლებლებიც. ამ დროისათვის საგარეჯოს რაიონში მხოლოდ ერთი პროფესიული კოლეჯია, რომელიც ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულების სახელითაა ცნობილი და მდებარეობს ლეონიძის ქ.№33ა–ში. ამრიგად წარსულს ჩაბარდა ის სასწავლებლები, რომლებიც ვერაფრით პასუხობდნენ სახელმწიფო სტანდარტებს, მაგრამ მათი მესვეურები ენერგიულად არწმუნებდნენ ამ საქმეში გაუცნობიერებელ საზოგადოებას თავიანთ ღირსებებში, რბილად, რომ ვთქვათ ატყუებდნენ და საბოლოოდ სახელმწიფო დიპლომის გარეშე ტოვებდნენ კურსდამთავრებულებს. საერთოდ მინდა ვურჩიო განათლების მიღებით დაინტერესებულ საზოგადოებას, რომ სანამ რომელიმე სასწავლებელში საბუთებს შეიტანენ ჯერ დარწმუნდნენ ამ სასწავლებლის რეალურობაში. უნდა მოიმარჯვონ კომპიუტერი, შევიდნენ ინტერნეტში, განათლების სამინისტროს ვებ–გვერდზე ან განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ–გვერდზე, წაიკითხონ ავტორიზებული სასწავლებლების ჩამონათვალი და შეამოწმონ კონკრეტული სასწავლებლის არსებობა ამ სიაში. ეს ყველაზე რეალური გზაა იმისათვის, რომ აბიტურიენტი არ მოტყუვდეს.

ამ რეფორმის მიხედვით პროფესიული განათლება ხუთ საფეხურიანია. პირველ, მეორე, მესამე საფეხურის პროგრამებს ახორციელებს პროფესიული კოლეჯი, ხოლო მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროგრამებს უმაღლესი სასწავლებლები ან საზოგადოებრივი კოლეჯები.

პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებული იღებს სახელმწიფო პროფესიულ დიპლომს.

*– გთხოვთ აგვიხსნათ, ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის ერთ–ერთი დამფუძნებელიც თქვენ ბრძანდებით, რა ტიპის სასწავლებელია, როგორ პროგრამებს ახორციელებს და ვის შეუძლია ისწავლოს.*

– ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს პროფესიული კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობას.

იგი ახორციელებს პირველ, მეორე და მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამებს.

ეს პროგრამებია: ბუღალტერი – მესამე საფეხური – სწავლების ვადა 1 წელი

ოფისის მენეჯერი – მეორე და მესამე საფეხური – სწავლების ვადა 2 წელი

ექთნის თანაშემწე – მესამე საფეხური – სწავლების ვადა 2 წელი

კომპიუტერული სიტემებისა და ქსელების ტექნიკოსი – მესამე საფეხური – სწავლების ვადა 1 წელი

ყველა სპეციალობაზე მიიღებიან საბაზო ან საშუალო განათლების აბიტურიენტები, მხოლოდ მასაჟისტის სპეციალობაზე არის შეზღუდვა, ამ პროგრმაზე აბიტურიენტის ასაკი 18 წელზე მეტი უნდა იყოს, ამას სტანდარტი მოითხოვს.

პროგრამები აგებულია კრედიტული სისტემის მიხედვით და ძალიან საინტერესო და ღრმად შინაარსიანია. პროფესიული განათლების მქონე კურსდამთავრებული ძალიან ადვილად დასაქმდება, რადგანაც პროფესიული პროგრამები უშუალოდ ჩვენს ყოფით ცხოვრებაზე არის მორგებული. სტუდენტები სწავლის პროცესში დეტალურად სწავლობენ კომპიუტერის საოფისე პროგრამებს, უცხო ენას გაძლიერებული კურსით, აგრეთვე პროგრამის მიხედვით ძალიან საინტერესო საგნებს. ხოლო სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფო ნიშნის პროფესიულ დიპლომს.

*– ბატონო ილია, საზოგადოებაში ფიგურირებს აზრი, რომ თქვენი სასწავლებელი გაუქმებულია, გთხოვთ მიაწოდოთ საზოგადოებას ინფორმაცია ამის შესახებ.*

– ჩვენი სასწავლებელი – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულება დაარსდა 2000 წლის 15 დეკემბერს სახელწოდებით ილია ჭავჭავაძის სახელობის უმაღლესი პროფესიული კოლეჯი. შემდგომში სახელწოდება შეიცვალა, მაგრამ დღემდე ამ სასწავლებელს არ შეუწყვეტია საგანმანათლებლო საქმიანობა. წლების მანძილზე ვუშვებდით სხვადასხვა დარგის პროფესიულ სპეციალისტებს და ჩვენდა სასახელოდ მათი დასაქმების პროცენტიც საოცრად მაღალი იყო და ახლაც იგივე გრძელდება.

უკვე გვაქვს მოთხოვნებიც სამუშაო ადგილებიდან, ისე რომ ყველა სპეცალობაზე დასაქმების დიდი შანსი არსებობს განსხვავებით უმაღლესი სასწავლებლებისაგან. ბაკალავრიატში ძირითადად თეორიულ განათლებას ეუფლებიან და ამიტომ უჭირთ ბაკალავრებს დასაქმება.

მათგან განსხვავებით პროფესიული პროგრამების 60% თეორიულია, 40% პრაქტიკული. პროფესიული კურსდამთავრებული დარგის პროფესიონალი სპეციალისტია. ამიტომაც მეტად პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს.

*– როგორია თქვენი გეგმები მომავალში, თუ დაემატება სხვა სპეციალობები, მაგალითად ფარმაცია?*

– მომავალ წელს სასწავლებელს უწევს გეგმიური ავტორიზაცია, ავტორიზაცია ხუთწლიანია. ავტორიზაციის პროცესში შესაძლებელია ახალი სპეციალობების დამატება. ვგეგმავთ, რომ საზოგადოებას შევთავაზოთ იურიდიული მიმართულების პროგრამა – კრიმინალისტიკა – მესამე საფეხური. ვფიქრობთ, რომ ეს პროგრამა ძალიან დაინტერესებს ჩვენს ახალგაზრდებს: ამ პროგრამის კურსდამთავრებულს გზა ეხსნება საგამოძიებო და საექსპერტო დაწესებულებებისაკენ, პოლიციის საპატრულო და სხვა სამართალდამცავი სტრუქტურებისაკენ.

რაც შეეხება ფარმაციას, იგი მეხუთე საფეხურის პროგრამაა, 120 კრდიტს მოიცავს და ჩარიცხვა მხოლოდ ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემდეგ ხდება. ფარმაციის პროგრამა მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში ხორციელდება.

*– ექთნის თანაშემწის პროგრამა ადრე თქვენს კოლეჯში არ ხორციელდებოდა...*

– დიახ, ეს პროგრამა მხოლოდ წელს 21 აგვისტოს დაგვიმტკიცა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა. ექთნის თანაშემწის პროგრამა 90 კრედიტს მოიცავს და სწავლა 2 წელს გრძელდება.

პირველ წელს მიმდინარეობს თეორიული სწავლება სასწავლო პრაქტიკასთან კავშირში, მეორე წლის ბოლოს, სამ თვეს კი ხორცილდება საწარმოო პრაქტიკა. საწარმოო პრაქტიკისათვის ხელშეკრულებები გაფორმებულია მრავალპროფილიან საავადმყოფო „ჯეოჰოსპიტალს”–ის სამედიცინო ცენტრთან და კერძო საავადმყოფო შპს „კლინიკა „ I ”–თან.

საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტები მიიღებენ პრაქტიკულ ჩვევებს და გაიმყარებენ თეორიულ ცოდნას, პრაქტიკა განხორციელდება ჩვენი სასწავლებლის ექთნის თანაშემწის საწარმოო პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით. სტუდენტები უშუალოდ იმუშავებენ ყველა პროფილის ავადმყოფთან, სტაციონარში, მათ შორის რეანიმაციულ განყოფილებაში, აგრეთვე საკვლევ აპარატურასთან.

პროფესიით „ექთანს” პროფესიული კოლეჯი აღარ უშვებს. შეიცვალა ამ პროფესიისადმი მიდგომებიც და მოთხოვნებიც. ექთნის პროფესია უმაღლეს სასწავლებელში გადავიდა და ბაკალავრის ხარისხი ესაჭიროება, ხოლო ძველებურ ექთანს ახლა ჰქვია ექთნის თანაშემწე. ამ სპეციალისტს კი პროფესიული კოლეჯი ამზადებს და ჩვენც სწორედ ამას ვახორციელებთ.

საგულისხმოა, რომ ექთნის თანაშემწის პროფესია ამ ეტაპზე ძალინ მოთხოვნადია, კერძოდ ამჟამად კარგად აღჭურვილი და მაღალი დონის სამკურნალო დაწესებულებები მოითხოვენ 75000–მდე ექთნის თანაშემწეს, დღეისათის მათი რაოდენობა მხოლოდ 15000–ია, რომელთა შორის ბევრის კვალიფიკაცია კვლავაც არ შეესაბამება სტანდარტებს და საჭიროებენ გადამზადებას.

ექთნის თანაშემწის პირველივე კურსდამთავრებულთა საუკეთესო ნაწილის დასაქმება იგეგმება თვით საწარმოო პრაქტიკის ობიექტზე – „ჯეოჰოსპიტალს”–ის სამედიცინო ცენტრში და „კლინიკა „ I ”–ში, სადაც ამჟამად მიმდინარეობს გაფართოების სამუშაოები – იგეგმება „ჯეოჰოსპიტალს”–ის ფართის გაორმაგებაც, რაც ბუნებრივია მეტ სამუშაო ადგილს გააჩენს.

მინდა ავუხსნა ახალგაზრდებს, რომ ჩვენი კოლეჯი ზემოთმოხმობილ ყველა პროგრამის საგანმანათლებლო სტანდარტს სრულად აკმაყოფილებს და მოწოდებულია დააკმაყოფილოს მსურველთა რაგინდ მაღალი მოთხოვნებიც. ვიცით ზოგიერთი ახალგაზრდის სურვილიც. ზოგს დედაქალაქის პროფესიული კოლეჯებისაკენ მიუწევთ გული, ისე, რომ ანგარიშს არ უწევენ ოჯახის მდგომარეობას. შემიძლია დავარწმუნო თვითეული მათგანი, ადგილობრივი მაცხოვრებლისათვის ოჯახიდან ლექციებზე სიარული ეკონომიურად ბევრად მომგებიანია და თუ გავითვალისწინებთ ახალგაზრდისათვის დედაქალაქის მაცდურ გარემოსაც ჩვენი პროფესიული კოლეჯი სავსებით მისაღები, მომგებიანი და მიმზიდველი აღმოჩნდება პროფესიის მაძიებელი ყველა ახალგაზრდისათვის. გარწმუნებთ, რომ ცოდნის მაძიებელი სტუდენტი ჩვენთნ ძალიან კომფორტულად იგრძნობს თავს.

*– თუ შეიძლება რამდენიმე წინადადებით გვითხრათ იმ ადამიანური რესურსის შესახებ, რომლებიც საგანმანათლებლო პროცესს ახორციელებენ.*

–რაც შეეხება პედაგოგებს, ჩვენ მათი შერჩევის საკონკურსო წესები გვაქვს. დღეისათვის მათი საკმაოდ დიდი ნაწილი უკვე სწავლის დაწყებას ელის. ხოლო თუ საჭირო შეიქმნება რომელიმე სპეციალისტის შემოყვანა, რასაც სასწავლებლის ხარისხის მართვის სამსახური წყვეტს, ასეთ შემთხვევაში ჩვენ მზად ვართ კვლავ საკონკურსო წესით შევარჩიოთ პედაგოგის კანდიდატურა. დღეისათვის კი ჩვენი პედაგოგების მეცნიერული დონე და კომპეტენცია სავსებით აკმაყოფილებს კოლეჯის მოთხოვნებს.

*– შეესაბამება თუ არა საგანმანათლებლო ბაზა მოთხოვნილ სტანდარტებს*

– ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს განათლების ხარისხს განვითარების ეროვნულ ცენტრში აგზავნის თვითშეფასების ანგარიშს, რომელიც სამი დიდი თავისაგან შედგება.

პირველია – საგანმანათლებლო პროგრამები

მეორე – საგანმანათლებლო ბაზა

მესამე – ადამიანური რესურსი.

სამი თავიდან ერთიც თუ ოდნავ მაინც არ აკმაყოფილებს სტანდარტს, სასწავლებელი კარგავს ავტორიზაციას. აქედან ნათელია, რომ ბაზა, რომელიც კოლეჯს გააჩნია აკმაყოფილებს საგანმანათლებლო სტანდარტს. ანუ წესრიგშია აუდიტორიები, /გასულ წელს გავარემონტეთ/, ინვენტარი, ტექნიკა, ადამიანური რესურსი, ვებ გვერდი, ელ.ფოსტა და აბსოლიტურად ყველა ატრიბუტიკა. ამრიგად სასწავლებელი მზად არის სრული სვლისათვის.

ასე, რომ ჩვენთან მოსულ აბიტურიენტს ყველა პირობა ექნება საუკეთესო განათლებისათვის.

მეტსაც გეტყვით, საწავლებელში /იგი უკვე 12 წელია არსებობს/ ხორციელდება შემეცნებითი – გასართობი პროგრამები, ხშირად ტარდება სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებები, მხიარულთა და საზრიანთა კლუბების შეჯიბრი, საახალწლო კარნავალი, კაფე–საღამო „სიყვარულის დღე”, ეწყობა ექსკურსიები სხვადასხვა მიმართულებით. აგრეთვე, ყველა წელს მონაწილეობას ვიღებთ სტუდენტურ დღეებში, ეწყობა სტუდენტთა ნამუშევარების გამოფენები და ა.შ.

*– და ბოლოს გთხოვთ მიმართოთ თქვენს აბიტურიენტებს*

– ჩვენს აბიტურიენტებს ვთხოვთ გაითვაისწინონ საკუთარი ოჯახის დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა და ჩვენი სასწავლებლის მიღწევები და ღირსებები და სწორად შეხედონ თავიანთ მომავალს.

მე მათ ყველაფერს კარგს და წარმატებულს ვუსურვებ და ბედნიერ მომავალს ვუწინასწარმეტყველებ. ამის გარანტიას მათ ჩვენი სასწავლებელი მისცემს.

*– გისურვებთ წარმატებებს თქვენს საგანმანათლებლო საქმიანობაში.*

*ესაუბრა*
*თინა ილაური*

მართლმადიდებლობა

# 11 სექტემბერი — იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღე

11 სექტემბერს მართლმადიდებელი ეკლესია თავისკვეთას მოიხსენიებს პატიოსნისა დიდებულისა წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემელისა იოანესი და მძიმე მარხვით აღნიშნავს.

წმინდა იოანე ნათლისმცემლის სიკვდილი სამუდამოდ დაუკავშირდა ჰეროდე ანტიპას, ჰეროდეადასა და სალომეას სახელებს.

ჰეროდე ანტიპა იყო ძე ჰეროდესი, დიდად წოდებულისა, რომელმაც ბეთლემში ყრმათა ჟლეტა მოაწყო. ჰეროდე ანტიპამ განსაკუთრებით მას შემდეგ გაითქვა სახელი, რაც დაუოკებელ ვნებათაღელვას აჰყვა და ცოლად შეირთო თავისი ნახევარძმის, არისტობულის ქალიშვილი, ავხორცობით ცნობილი ჰეროდეადა.

ჰეროდეადა მიათხოვეს თავის ბიძას ჰეროდე ფილიპეს. ჰეროდე დიდმა მისი ქმარი უმემკვიდრეოდ დატოვა. თანაც ფილიპე უმეტესწილად რომში ცხოვრობდა უპრეტენზიოდ და მშვიდად,ჰეროდეადა კი დედოფლის გვირგვინზე ოცნებობდა. ამიტომ ერთხელ, როცა ჰეროდე ანტიპა ძმას ეწვია,ჰეროდეადამ მასთან დანაშაულებრივი კავშირი გააბა და დაითანხმა, ცოლს გაჰყოდა და იგი შეერთო.

ასეთ ქორწინებას რჯული პირდაპირ კრძალავდა და „უწმინდურებად“ მიიჩნევდა, ამიტომაც ჰეროდე ანტიპასა და ჰეროდეადას შეუღლებამ იუდეველები ძლიერ აღაშფოთა, მაგრამ ავხორცმა და პატივმოყვარე ქალმა ყური არავის ათხოვა, თავის ქალიშვილთან ერთად ახალი ქმრის სასახლეში გადაბარგდა, მის ბოროტ გენიად და წყევად იქცა და საბოლოოდ დაღუპა კიდეც.

ანტიპამ თავისი რეზიდენცია მკვდარი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ციხედარბაზ მახერუნში გადაიტანა. იქ, სადაც ქადაგებდა და ნათელს სცემდა წინამორბედი. იოანე ნათლისმცემელი არაერთგზის მიუწვევიათ სასახლეში. ანტიპა წინამორბედის ქადაგებებით დაინტერესდა და ერთხანს სიამოვნებითაც კი უსმენდა მას. სანამ იოანემ ულმობლად არ ამხილა და არ უთხრა: „არა ჯერ არს შენდა, ვითარცა ცოლად გესუა ძმის-ცოლო შენი“. სწორედ ჰეროდეადას დაჟინებული მოთხოვნით ჩააგდო ანტიპამ იოანე მარეხუნის ჯურღმულში. მისმა თანამეცხედრემ წინამორბედის მოკვდინება განიზრახა. ჰეროდე ანტიპა გულის სიღრმეში აცნობიერებდა, რომ იოანე მართალი და წმინდა კაცი იყო, თანაც მას დიდი გავლენა ჰქონდა ხალხზე და, ჩანს, ანტიპას ეშინოდა, მის სიკვდილით დასჯას აჯანყება არ მოჰყოლოდა. მას ერჩივნა კიდეც საპყრობილეში გამომწყვდეული ჰყოლოდა – იქიდან წინამორბედი ვერაფერს ავნებდა, თანაც მახერუნიც აუღებელ ციხე-სიმაგრედ მიაჩნდა.

მაგრამ ჰეროდეადამ თავისი მზაკვრული ჩანაფიქრი ერთ-ერთ იმ ტავაშვებულ ნადიმზე არასრულა, რომლიტაც ასე იყო განთქმული ჰეროდეთა გვარი.

ჰეროდე ანტიპა ტახტზე ასვლისა თუ დაბადების დღეს ზეიმობდა. ღრეობა, სადაც სალომეას ცეკვის სანაცვლოდ ნებისმიერი სურვილის ასრულება აღუთქვეს, საპყრობილესი ჯალათის წარგზავნითა და და იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთით დაგვირგვინდა.

საეკლესიო გადმოცემის თანახმად, ცოლ-ქმარს სწორედ იქ მიეზღო სამართლიანი საზღაური: ზამთარში, როცა სალომეა გაყინულ მდინარე სიკორისზე გადადიოდა, ყინული ჩაუტყდა და წყალში ისე ჩავარდა, რომ ყინულმა თავი მოჭრა.... გვამი მდინარეში ჩაიძირა, თავი კი ანტიპასა და ჰეროდეადას მიუტანეს; ხოლო თავად ტეტრარქი და მისი ცოლი ,გადმოცემით, ცოცხლად შთანთქა მიწამ.

როცა წმინდა იოანე ნათლისმცემელს პატიოსანი თავი მოჰკვეთეს, ჰეროდეადას ასულმა, სალომეამ ის ლანგრით მიართვა დედას. ამ უკეთურმა ქალმა ნემსით დაჩხვლიტა წმინდანის ენა, რომელიც მას უსჯულოებაში ამხელდა და ნება არავის მისცა, იგი წმინდანის სხეულთან ერთად დაეკრძალათ. წმინდა იოანე ნათლისმცემლის მოწაფეებმა მისი სხეული ჩუმად დაკრძალეს სამარიის ქალაქ სებასტიაში, თავი კი ჰეროდეადამ თავისი სასახლის უწმინდურ ადგილას ღრმად ჩამარხა. ეს ადგილი მხოლოდ ჰეროდეს ეზოსმოძღვრის, ქოზას ცოლმა იოანამ იცოდა (მას იხსენებს ლუკა მახარებელი). მან ღამით ჩუმად ამოიღო წმინდა იოანეს თავი, ჩადო თიხის ჭურჭელში და ელეონის მთაზე ჰეროდეს ერთ-ერთ მამულში დამარხა.

წმინდა ნათლისმცემლის პატიოსანი თავი საღმრთო განგებულებით ვინმე ბერმა ინოკენტიმ აღმოაჩინა და დიდი სასოებით ინახავდა თავისთან. გავიდა კარგა ხანი, ეკლესია ჩამოინგრა, ლამის მიწასთან გასწორდა, დიდხანს არავინ იცოდა, სად ესვენა წმინდა იოანეს თავი.

ნათლისმცემლის პატიოსანი თავი მეორედ, საღმრთო გამოცხადებით, IV საუკუნეში არმოაჩინეს და გარკვეული ხანი ემესაში იყო დასვენებული, შემდეგ ემესიდან კონსტანტინეპოლში გადაასვენეს.

ხატმებრძოლობის დროს ქრისტიანებმა წმინდა იოანეს პატიოსანი თავი აფხაზეთში, დაბა კომანში გადამალეს, სადაც ოდესღაც მიიცვალა წმინდა იოანე ოქროპირი. ვერცხლის ჭურჭელში ჩაბრძანებული სიწმინდე დაფარული იყო 850 წლამდე. მაშინ კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ეგნატემ ღამით ლოცვისას უფლის გამოცხადებით იხილა ის ადგილი, სადაც წმინდა იოანეს პატიოსანი თავის ქალა იყო დაკრძალული. მან ეს სიწმინდე კონსტანტინეპოლში გადაასვენა.

წმინდა იოანე ნათლისმცემელს ოდითგანვე დიდ პატივს მიაგებდნენ ქართველები. მთაში მას ბავშვების მფარველს უწოდებდნენ და შვილებს მის სახელს არქმევდნენ. წმინდა იოანეც არ აკლებდა მფარველობას ქართველებს. საქართველოში, კერძოდ ოპიზის მონასტერში დასვენებული იყო წმინდა იოანეს ხორხი. XVI საუკუნეში საქართველოში ჩამოსულ ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოსს წალენჯიხის მონასტერში ნათლისმცემლის ხორხთან ერთად მისი წვერის ნაწილიც უნახავს . ამჟამად ამ სიწმინდეთა ადგილსამყოფელი უცნობია.

ამ სიწმინდეთა გარდა საქართველოში წმინდა იოანეს თმაც ყოფილა, რომელიც სხვა სიწმინდეებთან ერთად, ოქროს ჯვარში იყო ჩასვენებული. მეფე თეიმურაზ I-ის ელჩმა, მთავარეპისკოპოსმა თეოდოსიმ ჯვარი რუსეთის ხელისუფლებას საჩუქრად გადასცა. ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცულია წმინდა იოანე ნათლისმცემლის ძვალი. თეკლათის დედათა მონასტერშია წმინდა იოანეს ცერა თითის ძვალი.

დაკარგულია წმინდა იოანეს კბილი, რომელიც კავთისხევის მონასტერში უნახავთ XVII საუკუნეში. წმინდა იოანეს ნაწილი ჩასვენებული ყოფილა სვეტიცხოვლის კანკელის ცნობილ სანაწილეში და ახლა ისიც დაკარგულად ითვლება. ბევრი სასწაული უკავშირდება წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელს.

ეს ამბავი XIII საუკუნეში მოხდა. თეგუთარს, აბაღა ყაენის მამას, ესმა ოპიზის მონასტრის სიმდიდრე და ათასი მხედრით ოპიზისკენ დაიძრა. მაგრამ „არა დაიდუმნა მსჯავრმან ზენამან“, წმინდა იოანეს ლოცვით, ვისი სახელობისაცაა მონასტერი, უფალმა დაიცვა ეს წმინდა სავანე. მტერი დადგა იმ მთის ძირში, რომლის თავშიც ოპიზის მონასტერია აშენებული. ამ მთის ძირში იდგა წმინდა გიორგის ეკლესია. უეცრად ისეთი ნისლი ჩამოწვა, მტერმა წინ ვეღარ წაიწია, მოვარდა წვიმა, სეტყვა, ხორშაკი, მდინარესავით წამოვიდა ნიაღვარი, წაიღო თათარნი ცხენ-კაციანად, მხოლოდ ერთი – ამბის მთხრობელი გადარჩა, რომელიც ეახლა თეგუთარს და უთხრა, – იქ ღვთის სახლია და მისვლას ერიდეთო.

# ვიცოდეთ

## საგარეჯოს რაიონის ტერიტორიაზე 1875-1876 წლებში (მღვდელმთავარი -ბლაღოჩინი – ზაქარია ექვთიმიშვილი) შემდეგი ეკლესიები ფუნქციონირებდა:

**1. პატარძეულის წმ. თომას სახელობის ეკლესია**

მღვდელი – სვიმონ გიორგის ძე ლეონიძე

დიაკვანი – ალ. უსტიაშვილი

მედავითნე – მიხეილ ბილანიშვილი

**2. ხაშმის წმ. გიორგის სახ. ეკლესია**

მღვდელი – აბრამ იოანეს ძე ნახუცრიშვილი

შტატგარეშე – მეორე მღვდელი იოსებ ბაქრაძე

დიაკვანი – დიმიტრი ინალიშვილი

**3. აღდგომის სახელობის ეკლესია – თოხლიაური**

მღვდელი – ნიკოლოზ გარსიაშვილი

მოძღვართ-მოძღვარი – მღვდელი აბრაამ ნახუცრიშვილი

**4. სვიმონ მესვეტის სახელობის ეკლესია – დღევანდელი დოდო ბარეჯელის საბარეჯოში**

მღვდელი – იოანე ბედიაშვილი (ბედიევი)

დიაკვანი – გაბრიელ გულისაშვილი

უშტატო – მედავითნე – გიორგი მჭედლიშვილი.

**5. საბარეჯოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი**

მღვდელი – ნიკოლოზ დავიდოვი (დავითაშვილი)

მედავითნე – დავით ქურხული

შტატგარეშე – მედავითნე – დავით გარსიაშვილი

**6. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია (დღევანდელი №1 საბავშვო ბაღის ეზოში)**

მღვდელი – იაკობ გარსიაშვილი

მედავითნე – იაკობ გულისაშვილი

**დიაკვანი – იოსებ აფციაური**

**7. პეტრე-პავლეს სახელობის ეკლესია**

მღვდელი – მიხეილ გულისაშვილი

მედავითნე – იოსებ გარსიაშვილი

შტატგარეშე – მედავითნე ქრისტესია ბიბილოძე

**8. ნინოწმინდის ნინოს სახელობის ეკლესია**

მღვდელი – ნიკოლოზ გულისაშვილი

მედავითნე – მიხეილ უნაფქოშვილი

შტატგარეშე – მედავითნე – ქრისტესია ბიბილოძე

**9. პატარძეულის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია**

მღვდელი – ლუკა ბაქრაძე

მედავითნე – ზაქარია ბილანიშვილი

შტატგარეშე – მედავითნე დიმიტრი გიუნაშვილი

**10. გიორგიწმინდის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია**

მღვდელი – თევდორე გულისაშვილი

დიაკვანი – იასონ გარსიაშვილი

მედავითნე – მიხეილ თამაზაშვილი

**11. მანავის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია**

მღვდელი – დიმიტრი გულისაშვილი

მედავითნე – ალექსი ფირალოვი

შტატგარეშე – მედავითნე გაბრიელ ნათალოვი

**12. ჩაილურის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია**

მღვდელი – ფრიდონ ფირალოვი

დიაკვანი – თადეოზ ფხალაძე

მედავითნე – გაბრიელ ქევხიშვილი

**13. კაკაბეთის წმ მარინეს სახელობის ეკლესია**

მღვდელი – ზაქარია ექვთიმიშვილი

მედავითნე – აღათან მჭედლიშვილი

შტატგარეშე – მედავითნე გიორგი მჭედლიშვილი

**14. კაკაბეთის წმ ხარების სახელობის ეკლესია**

მღვდელი – ალექსი ყანდარელი

მედავითნე – მალაქია მჭედლიშვილი

შტატგარეშე – მედავითნე ივანე ფხალაძე

**15. ყანდაურის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია**

მღვდელი – სპირიდონ ფხალაძე

მედავითნე – ლევან ელიზბარაშვილი

შტატგარეშე – მედავითნე ანდრია ვარაზაშვილი

**16. შიბლიანის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია**

მღვდელი – ათანასე ელიზბაროვი

მედავითნე – გიორგი ბესტიევი

შტატგარეშე – მედავითნე ალექსი ფხალაძე

1884 წლიდან ბლაღოჩინი თევდორე გულისაშვილია და ამავე დროს გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მოძღვარი

მოქმედი ეკლესია 1875-76 წლებში იყო 16

აქედან 4 საგარეჯოში:

1. სვიმონ მესვეტის
2. ღვთისმშობლის მიძინების
3. საგარეჯოს ღვთისმშობლის მიძინების
4. პეტრე-პავლეს სახელობის

*მასალები აღებულია „ეკლესიის აღწერილობის წიგნის მიხედვით.*

## ახალი შეხვედრა

# საქართველოს შეიარაღებულ ძალებში

მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი მირიან ღოღონაზე წვევამდელებთან

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დაიწყო წვევამდელთა სამხედროსავალდებულო სამსახურში საშემოდგომო გაწვევა.

პირველი შეხვება მუნიციპალიტეტიდან ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში 12 აგვისტოს გაიგზავნა, რომლის ცერემონიალს მუნიციპალიტეტის გამგებელი გია ჩალათაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელი, მაჟორიტარი დეპუტატი ზაზა გულიკაშვილი და სხვა პასუხისმგებელი პირები ესწრებოდნენ.

როგორც ჩვენთან საუბარში გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსმა მირიან ღოღონაძემ აღნიშნა, ზემდგომი ორგანოების დახმარებითა და ძალისხმევით წვევამდელთა საშემოდგომო გაწვევა წარმატებულად მიმდინარეობს. ახალგაზრდები ხალისით, ენთუზიაზმით ცხადდებიან ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო ვალის მოსახდელად. დღიდან გაწვევის დაწყებისა, ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში მუნიციპალიტეტიდან უკვე გაიგზავნა წვევამდელთა 3 ნაკადი. 2000 ლარიანი მოსაკრებლის მეშვეობით წელიწადნახევრიანი გადავადებით ისარგებლა ხუთმა წვევამდელმა. ჩვენი გაზეთის მეშვეობით მკითხველს ვაცნობეთ, რომ სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახურმა გადაჭარბებით შეასრულა წვევამდელთა საგაზაფხულო გაწვევის გეგმა და იმედოვნებენ, რომ წლის ბოლომდე გადაჭარბებით შეასრულებენ მთელი წლის გაწვევის გეგმასაც.

## ყველაზე გავრცელებული სახელები საქართველოში

ახალშობილებისთვის სახელების შერჩევის ტენდენტია იცვლება. წელს ყველაზე პოპულარული სახელები გიორგი და ნინოა. გასულ წელს ახალბედა დედები გოგონებს ყველაზე ხშირად მარიამს არქმევდნენ. სახელ გიორგის პოპულარობით თითქმის არ ჩამოუვარდება ნიკოლოზი.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, რომელიც მონაცემთა ერთიან ბაზას ეყრდნობა, 2012 სტატისტიკის მიხედვით ვაჟების პოპულარული სახელებია:

გიორგი 1583, მას სიმრავლით არ ჩამოუვარდება ნიკოლოზი 1521; ასევე გავრცელებული სახელებია: ლუკა 955, ანდრია 839, საბა 835, დავითი 801, ალექსანდრე 773, მათე 327, დიმიტრი 295, გაბრიელი 275, ირაკლი 220, ილია 210, ზურაბი 206, დაჩი 164, თეიმურაზი 136, ცოტნე 136, ლევანი 131, ივანე 130, ლაზარე 126, თორნიკე 116 და სხვა.

ახალშობილი გოგონების პოპულარული სახელებია: ნინო 2523, მარიამი 1669, ბარბარე 979, ანასტასია 939, ანა 910, ელენე 872, ელიზავეტა 588, ნია 365, თამარი 346, ნატალია 322, თეკლე 265, სალომე 255, ქეთევანი 251, ლია 200, ანამარია 158, თათია 131, სოფია 127, ნანა 125, ეკატერინე 104, თინათინი 103 და სხვა.

რაც შეეხება ყველა ასაკში, სხვადასხვა დროს პოპულარულ სახელებს, მონაცემთა ერთიანი ბაზის თანახმად, საქართველოში მამაკაცის ყველაზე გავრცელებული სახელი გიორგია 193 828, მას მოსდევს: დავითი 90 713, ნიკოლოზი 59 784, ზურაბი 49 403, ალექსანდრე 45 488, ლევანი 40 496, თეიმურაზი 36 834, ირაკლი 35 150, მიხეილი 28 232, ლუკა 27 692, თამაზი 27 585, ავთანდილი 24 317, მამია 23 455, ნოდარი 23 061, გურამი 23 044, ლაშა 22 693, გოჩა 22 063, ზაზა 20 768, კახაბერი 20 308 და სხვა.

ქალბატონებს ყველაზე ხშირად არქმევენ ნინოს 246 879, მას მოსდევს მარიამი 100 982, თამარი 97 531, ნანა 69 653, ნათია 66 947, ანა 64 980, ლია 55 059, ქეთევანი 50 272, მაია 45 952 და სხვა. ელენე 39616, თინათინი 36000, ეკატერინე 34182, სოფია 31843, ნატალია 31195, ხათუნა 25370, ირინე 23716, ელიზავეტა, 23217, სალომე 21444, რუსუდანი 20530, ქრისტინე 9677 და სხვა.

საინტერესოა, ასევე, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზაში სხვადასხვა წლებში აღრიცხული იშვიათი სახელები: მოქეიფე, თაგუნა, ფემისტოკლე, ფიზიკა, პელე, გარინჩა, კაცი, ქალი, ვებერთელა, მხედარი, კუსა, მამალი, თავადი, თადეუს, თანზილა, მამისავარ, მამილო, მამლუკი, მანილა, მგელა, ცაცია, ხუმარა, სამძიმარა, ვინარი, კუკუშა, ედემი, ფუჩქი, ნიუტონი, სვედაგულ, კეკლუცა, ნექტარი, ლამაზი, ვარგისო, და სხვა.

## ახალი საჭადრაკო კლუბი

ქალაქის კულტსახლის ღია ფოიეში დაიწყო საჭადრაკო კლუბის მშენებლობა. ეს იქნება თანამედროვე, ორსართულიანი შემინული შენობა, რომელიც თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულებასთან ერთად კიდევ უფრო დაამშვენებს და გაალამაზებს ქალაქის ცენტრს.

– მოწიფულ საგარეჯოელებს ახსოვთ, რომ I საჭადრაკო კლუბი საგარეჯოში 1983 წლის მაისში გაიხსნა – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ირაკლი ქვლივიძემ, საგარეჯოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა. სამწუხაროდ, მან მხოლოდ რამდენიმე წელს იარსება, რადგან ხანძარმა გაანადგურა. მას შემდეგ 2 ათეული წელია საგარეჯოელი ჭადრაკის მოყვარულები მოთმინებით ელოდნენ ახალი კლუბის გახსნას და აი, ჩვენი მუნიციპალიტეტის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის, მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებლის ბ-ნ გია ჩალათაშვილისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ილია ჭიაურელის ძალისხმევით ამ მეტად საჭირო და სამომავლო საქმეს ჩაეყარა საფუძველი, სადაც მომავალში საგარეჯოელ მოჭადრაკეთა არაერთი თაობა დაფრთიანდება. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა თაობის საგარეჯოელი მოჭადრაკეების და მწვრთნელ-მასწავლებლების, მათი გულშემატკივრების სახელით დიდი მადლობა გადავუხადო მათ ასეთი კარგი საქმის გაკეთებისათვის. პატარა მოჭადრაკეები და მათი აღმზრდელები ვეცდებით, რომ ახალ-ახალი წარმატებებით ვასახელოთ ჩვენი კლუბი და საგარეჯო.

## პატარა მოჭადრაკის გამარჯვება ბათუმში

14-26 აგვისტოს ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „ბათუმი – 2012“. 8-10 და 12 წლამდელ ჭაბუკთა და გოგონათა შორის. ასპარეზობაში 8 წლამდელთა შორის სხვებთან ერთად მონაწილეობდა საგარეჯოს 69-ე სასპორტო სკოლის მწვრთნელ ირაკლი ქვლივიძის აღსაზრდელი ნიკოლოზ კევლიშვილი, რომელმაც წელს საქართველოს მესამე პრიზიორობა იზეიმა 8-წლიან მოჭადრაკეთა შორის და ამ ფესტივალზეც დაამტკიცა, რომ ტყუილად არ მოუპოვებია ეს ტიტული. 7 შესაძლებლობიდან 7 ქულა, ასეთია მისი შედეგი „ბათუმი-2012“-ის ფესტივალში. ამ შედეგით იგი ფესტივალის ჩემპიონი და დაწესებული ჯილდოს – 300 ლარის მფლობელი გახდა.

## მილოცვა

**საგარეჯო-ნინოწმინდის მთავარეპისკოპოსს – მეუფე ლუკას ვუ-ლოცავ ეკლესიურ ახალ წელს და დაბადების დღეს!**

ღვთისაგან ნაბოძი მნუსხველი
სითეთრე,
ლოტოსის ნაბიჯი, ო, როგორ მზარვიდა.
მოქროლვა ღრუბელის
მტრედისფერ მარმაშით
და კადრი – კურთხევა – დაიწყეთ
თავიდან.
მრუმეს იასამნის ვით შვენის ნათელი.
სამოსის ნაოჭი იდუმალ ირხევა.
მეცხრე ცის ნათალი პროფილი –
სანთელი.

გრაცია... მეუფევ,
დაიწყეთ თავიდან.
და წამი – ნაწამი თავთუხის წამწამი,
ჩქამია დუმილში ანგელოზთ
ფრთა-მხრისა,
სულნელთა სულნელით,
ხმით ხავერდოვანით
ტაძარი დაიძრა, ზეცისკენ წარვიდა.
***
მოქროლვა სიმშვიდის
მტრედისფერ ღრუბელით,
სწორება ბზის ტოტით,
სანთლებით, პალმითა.
ნაბიჯთა გრაცია...
ნათელი პროფილი.
მეუფევ, მეუფევ, დაიწყეთ თავიდან.

*ლიანა ქართელიშვილი*

## მილოცვა

საგარეჯოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარს დეკანოზ მირიანს (არდაზიშვილი) ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს თავის საყვარელ ოჯახთან და სამწყოსთან ერთად.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ, მამა მირიან!

*სიყვარულით: საგარეჯოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის მრევლი;*

საგარეჯო-ნინოწმინდის ეპარქიის მთავარეპისკოპოსს, **მეუფე ლუკას (ლომიძე)** და საგარეჯოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარს **დეკანოზ მირიანს (არდაზიშვილი)** ვულოცავთ დაბადების დღეს.

ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და იმ ტვირთის ღირსეულად ტარება, რომელსაც მრევლის ჭეშმარიტად ქრისტიანულ გზაზე შეუმცდარად, ქრისტესმიერი სიყვარულით გაძღოლა ჰქვია!

**სიყვარულით:**

***გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესიის მოძღვარი***
**მღვდელი გიორგი (პავლოვი)**
***და ამავე ეკლესიის მრევლი***

## მადლობა

უღრმესი მადლობა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ყოფილ გამგებელს, საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატს ბატონ ბია ჩალათაშვილს და საგარეჯოს ყოფილ მაჟორიტარ დეპუტატს ბ-ნ ზაზა გულიკაშვილს ჩემდამი გაწეული მატერიალური და სულიერი დახმარებისათვის.

დიდი მადლობა საგარეჯოს გამგეობის, საკრებულოს და საქართველოს პარლამენტის დეპუტატის აპარატის ყველა თანამშრომელს თანაგრძნობისათვის და კეთილი სურვილებისათვის.

დიდი მადლობა ხაშმის რწმუნებულს ზურაბ ჟირმელაშვილს, რომელიც საოცარი ერთგულებით მიდგას გვერდით მეც და ჩემს ოჯახსაც ჩემთვის ძნელად გადასატანი დღეების სიმძიმისას.

უფალი გფარავდეთ და ბევრი კეთილი საქმე გეკეთებინოთ

პატივისცემით

*ნატო ციქურიშვილი*
***სოფ. ხაშმი***

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
577 951 488
ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com